სახელმწიფო შესყიდვისშესახებ

ხელშეკრულება #65

ქ. ნინოწმინდა 29 სექტემბერი 2016 წ

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") მისი გამგებლის, გაგიკ კარსლიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მეეკი" (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის გაიოზ ლომსაძის სახით, ვხელმძღვანლობთ რა, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის # 9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის , „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს # 13 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის , ნავთოპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON 150000066) დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის შესაბამისად და კონსოლიდირებული ტენდერების მოდულში #3217 ნებართვის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებულიტერმინებისგანმარტებები

ხელშეკრულებაშიგამოყენებულტერმინებსაქვთშემდეგიმნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულებასახელმწიფოშესყიდვისშესახებ" (შემდგომში – "ხელშეკრულება") – შემსყიდველორგანიზაციასადამომწოდებელსშორისდადებულიხელშეკრულება. რომელიცხელმოწერილიამხარეთამიერ, მასზეთანდართულიყველადოკუმენტით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლრბზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" – ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს (საქონლის მოწოდებას) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6.,, საქონელი" – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამარტივებული შესყიდვით შესყიდვის საგანს წარმოადგენს: 2150 (ორიათასას ორმოცდაათი) ლიტრი. 95 ოქტანობის საწვავის შემენა (CPV09100000). ერთი ლიტრი არა ნაკლები 95 ოქტანობის საწვავის ღირებულება - 1,60 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხლშეკრულების ღირებულება შეადგენს 3,440 (სამი ათას ოთხას ორმოც) ლარს. მომწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებისთ გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4. ინსპექტირებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული ფიზიკურად შესრულებული სამუშაოს, მომსახურების და საქონლის შესყიდვის ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი – რომელიც შექმნილია გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

6. შესასრულებელი (საქონლის) გაწევის პირობები

6.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულბის გაფორმებიდან 2016 წლის 06 ოქტომბრამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყივის ობიექტის მიღება–ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება

8.3. საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11. სუბკონტრაქტორები

11.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტალურად დაუდასტურებელი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების **0,5%–ის** ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების **ღირებულების 3 %–ს**, მხარეებსაქვთუფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

21. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

21.1. შესიდვის ობიექტის მიწოდების ვადა 2016 წ. 06 ოქტომბრამდე.

21.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილია ქ. ნინოწმინდა.

22. სხვა პირობები

22.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

22.2. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

22.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიულ ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

22.4. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 29 სექტემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

23. ხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43 ს/ს „ლიბერთი ბანკის" ნინოწმინდის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ნ GE51LB0120146252122000 ს/კოდი 236689669	შპს „მეეკი" მის: ქ. ნინოწმინდა, [illegible] 5ა/ბ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ნ GE39BG0000000186505500 ს/კოდი 236684469
გ.კარსლიანი	გ. ლომსაძე